შეთანხმება შპს „კამექს ინტერნეიშნლის“ მიერ პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე

ქ. თბილისი **18 აგვისტო, 2023 წელი**

ერთი მხრივ შპს „კამექს ინტერნეიშნლი“ (ს/ნ: 405064013) (შემდგომში - მოვაჭრე), წარმოდგენილი მინდობილი პირის, გიგა სეთურიძის (პ/ნ: 01005025064) სახით და მეორე მხრივ, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო (ს/ნ: 205310938) (შემდგომში - სააგენტო) წარმოდგენილი თავმჯდომარის, ირაკლი ლექვინაძის სახით, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 28-ე მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-12 მუხლისა და მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1. იმის გათვალისწინებით, რომ ამანათების ამერიკის შეერთებული შტატებიდან საქართველოში პროდუქციის ტრანსპორტირების ღირებულების გამოთვლის მოვაჭრის მიერ შეცვლილ მომსახურების ხელშეკრულების (რომლის განუყოფელი ნაწილია მოვაჭრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.camex.ge განთავსებული ყველა ინფორმაცია) (შემდგომში - ხელშეკრულება) პირობას, რომელიც გავრცელდა 2022 წლის 28 ნოემბერს და ძალაში შევიდა 2022 წლის 10 დეკემბრიდან, შესაძლოა ვერ გაეცნო მოვაჭრის ყველა მომხმარებელი სათანადოდ (არ გაეგზავნა ინდივიდუალური შეტყობინება ელ-ფოსტით), რამაც გამოიწვია მათი უკმაყოფილება, მოვაჭრე წინამდებარე შეთანხმებით იღებს ვალდებულებას, კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

1.1 ამ შეთანხმების დადების შემდგომ, მომხმარებლებსა და მოვაჭრეს შორის დადებული ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების (მათ შორის, მოვაჭრის სავაჭრო პოლიტიკის) შეცვლის

გიგა სეთურიძე

ირაკლი ლექვინაძე

შემთხვევაში, მომხმარებლებს ელექტრონული ფოსტისა და ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსების საშუალებით (www.camex.ge), წინასწარ, გონივრული ვადით ადრე, ინდივიდუალურად, მკაფიოდ, გასაგებად, საქართველოს სახელმწიფო ენაზე, გააცნოს კონკრეტული ცვლილებები.

1.2 კანონის მე-5 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული უტყუარი და სრული ინფორმაცია მომხმარებლებს მიაწოდოს საქართველოს სახელმწიფო ენაზე, მკაფიოდ და გასაგებად.

1.3 მომხმარებლებს, რომლებმაც 2022 წლის 27 ნოემბრიდან 2023 წლის 2023 წლის 14 აგვისტოს ჩათვლით შეიძინეს ამანათები (იგულისხმება მომხმარებლის მიერ შეძენილი ნივთი), გადამზიდ-ექსპედიტორ კომპანიად მიუთითეს შპს „კამექს ინტერნეიშნლი", წარმოადგენენ წინამდებრე შეთანხმების 1.4. პუნქტით გათვალისწინებულ პირებს, არ მიეკუთვნებიან 1.8. პუნქტით გათვალისწინებულ პირებს და ამანათების ამერიკის შეერთებული შტატებიდან საქართველოში ტრანსპორტირების ღირებულება დაუანგარიშდათ მოცულობითი წონის მიხედვით, ტრანსპორტირების ღირებულება დაუანგარიშოს და გადაახდევინოს ამანათის რეალური წონის მიხედვით.

1.4 წინამდებარე შეთანხმების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული წესი ვრცელდება:

1.4.1 მომხმარებლებზე, რომლებსაც ჯერ არ გაუტანიათ კუთვნილი ამანათები მოვაჭრის საქართველოში მდებარე ოფისიდან;

1.4.2 მომხმარებლებზე, რომლებმაც კუთვნილი ამანათები გაიტანეს მოვაჭრის საქართველოში მდებარე ოფისიდან და ტრანსპორტირების ღირებულება გადაიხადეს ამანათის მოცულობითი წონის მიხედვით;

1.4.3 მომხმარებლებზე, რომლებმაც კუთვნილი ამანათები გაიტანეს მოვაჭრის საქართველოში მდებარე ოფისიდან და ტრანსპორტირების ღირებულება გადაიხადეს ამანათის მოცულობითი წონის მიხედვით, თუმცა კომპანიისგან მიიღეს გარკვეული რაოდენობის ფასდაკლება;

1.4.4. მომხმარებლებზე, რომელთაც 2023 წლის 14 აგვისტოს ჩათვლით შეიძინეს პროდუქცია და გადამზიდ-ექსპედიტორ კომპანიად მიუთითეს შპს „კამექს ინტერნეიშნლი", თუმცა მათი ამანათების ტრანსპორტირება საქართველოში ჯერ არ დასრულებულა.

1.5 წინამდებარე შეთანხმების 1.4.1 და 1.4.4. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოვაჭრე იღებს ვალდებულებას, მომხმარებლებს, ამანათის ტრანსპორტირების ღირებულება დაუანგარიშოს და გადაახდევინოს ამანათის რეალური წონის მიხედვით, ხოლო 1.4.2 და 1.4.3 პუნქტებით გათვალისწინებულ

შემთხვევებში, ამანათის ტრანსპორტირების ღირებულება დაუანგარიშოს ამანათის რეალური წონის მიხედვით და დაუბრუნოს ზედმეტად გადახდილი თანხა.
1.6. მომხმარებელს მიეცემა საშუალება, აირჩიოს ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების მეთოდი - პირად საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით ან მომხმარებლის პირადი პროფილის (პირადი ოთახის ნომერი) ბალანსზე ზედმეტობაში დარიცხვით;
1.7. ინფორმაციას ამ შეთანხმებით გათვალისწინებული თანხის დარიცხვის/დაბრუნების შესაძლებლობისა და წესის თაობაზე მოვაჭრე გამოაქვეყნებს მის ვებ-გვერდზე (www.camex.ge) , თვალსაჩინო ადგილზე. დაინტერესების შემთხვევაში, მოვაჭრე ასევე სატელეფონო კონსულტაციის გზით მიაწვდის მომხმარებელს შესაბამის ინფორმაციას.
1.8. წინამდებარე შეთანხმება არ ვრცელდება იმ მომხმარებლებზე,
1.8.1. რომლებიც შპს „კამექს ინტერნეიშნლის" მომხმარებლად დარეგისტრირდნენ 2022 წლის 28 ნოემბრიდან;
1.8.2. რომელთა ამანათის მოცულობითი წონა აღემატება 25 კგ-ს;

1.8.3. რომლებსაც სათანადო წესით (რაც დადასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით) გონივრული ვადით ადრე ეცნობათ ტარიფის დაანგარიშების წესში ცვლილების შეტანის შესახებ;

1.8.4. რომლებმაც 2022 წლის 28 ნოემბრიდან 2023 წლის 14 აგვისტომდე ისარგებლეს მოვაჭრის მომსახურებით, რომლითაც მათთვის ცნობილი გახდა მოცულობითი წონის დათვლის პრინციპი და შემდგომ ისევ განახორციელეს მოვაჭრის მომსახურებით სარგებლობა;

1.8.5. რომლებსაც 2022 წლის 10 დეკემბერის ცვლილებით გათვალისწინებული ინფორმაცია- მოცულობითი წონით დათვლის პრინციპის თაობაზე მიეწოდათ ამანათის გამოგზავნამდე, ინდივიდუალურად, სატელეფონო კომუნიკაციის ან/და სხვა საკონტაქტო საშუალებით, მათ შორის სოციალური ქსელით.

2. მომხმარებლისთვის ზედმეტად გადახდევინებული თანხის უკან დაბრუნება

2.1 წინამდებარე შეთანხმების 1.4.1 და 1.4.4. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის ამანათის ტრანსპორტირების ღირებულების ამანათის რეალური წონის მიხედვით დაანგარიშება და გადახდევინება, ხოლო 1.4.2 და 1.4.3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ამანათის ტრანპორტირების ღირებულების ამანათის რეალური წონის მიხედვით დაანგარიშება

გიგა სეთურიძე

ირაკლი ლექვინაძე

და მომხმარებლის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება განხორციელდება მომხმარებლის მიერ მოვაჭრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www. camex.ge) განთავსებული განცხადების სრულყოფილად და სწორად შევსებისა და მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე.

2.2 სპეციალური ბმულის გახსნის შემდეგ, გამოჩნდება განცხადების შევსების ღილაკი, რომლის საშუალებითაც მომხმარებელი შეძლებს წინამდებარე შეთანხმების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული განცხადების ელექტრონულად შევსებას.

2.3 წინამდებარე შეთანხმების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

2.3.1 მომხმარებლის სახელი და გვარი, პირადი ნომერი;

2.3.1 მომხმარებლის ელექტრონული ფოსტის მისამართი;

2.3.3 მომხმარებლის ტელეფონის ნომერი;

2.3.4 მომხმარებლის მიერ უკვე მიღებული ან მისაღები ამანათის ორექინგ კოდი;

2.3.5 თანხის ჩარიცხვის მეთოდი - სად სურს ზედმეტად გადახდილი თანხის ჩარიცხვა: პირად საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით, თუ, მომხმარებლის პირადი პროფილის (პირადი ოთახის ნომერი) ბალანსზე ზედმეტობაში დარიცხვით;

2.3.6 ამანათის შესყიდვის ინვოისი/ორდერი (თან უნდა დაერთოს ელექტრონული ფორმით).

2.3.7. მომხმარებლის პირადი ოთახის ნომერი;

2.3.8. თანხის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით არჩევის შემთხვევაში, პირადი საბანკო ანგარიშის ნომერი, სადაც უნდა იქნეს ჩარიცხული თანხა.

2.4 მომხმარებლის მიერ წინამდებარე შეთანხმების 2.3 პუნქტით გათვალისწინებული განცხადების შევსების შემდგომ, მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის გაფორმდება წინამდებარე შეთანხმების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმება.

2.5 მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის წინამდებარე შეთანხმების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმება შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, ხელმოწერების გაცვლის გზით (საკმარისია შეთანხმებაზე კალმით ხელის მოწერა, ხელმოწერილი შეთანხმებისთვის ფოტოს გადაღება/დასკანერება და მოვაჭრის ელექტრონულ ფოსტაზე გადაგზავნა (მოვაჭრის ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@camex.ge). ამასთანავე, თუ, მომხმარებელი მოვაჭრის მიერ გადაგზავნილ შეთანხმებას ხელმოწერილი ფორმით არ დაუბრუნებს უკან მოვაჭრეს, შეთანხმების

გაგზავნიდან 7 (შვიდი) დღის განმავლობაში, მოვაჭრე თავისუფლდება წინამდებრე შეთანხმებით ნაკისრი ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

2.6 მოვაჭრე განახორციელებს წინამდებარე შეთანხმების 1.4.1 და 1.4.4. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ამანათის ტრანსპორტირების ღირებულების ამანათის რეალური წონის მიხედვით დაანგარიშებასა და გადახდევინებას, ხოლო 1.4.2 და 1.4.3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ამანათის ტრანსპორტირების ღირებულების ამანათის რეალური წონის მიხედვით დაანგარიშებასა და მომხმარებლის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნებას, მომხმარებლის მიერ წინამდებარე შეთანხმების 2.3 პუნქტით დადგენილი წესით განცხადების შევსების შემთხვევაში.

2.7 მოვაჭრე იღებს ვალდებულებას, წინამდებარე შეთანხმების 1.5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება მომხმარებლების წინაშე შეასრულოს წინამდებარე შეთანხმების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების ორმხრივად ხელმოწერიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

2.8 წინამდებარე შეთანხმების 1.4 პუნქტით გათვალისწინებული მომხმარებელი უფლებამოსილია, ამ შეთანხმების შესაბამისად თანხის დაბრუნების/გადაანგარიშების მიზნით მოვაჭრეს მიმართოს 2023 წლის 18 ოქტომბრის ჩათვლით.

2.9 მოვაჭრე იღებს ვალდებულებას, საჭიროების შემთხვევაში, სატელეფონო (მოვაჭრის ცხელი ხაზის ნომერი: (032) 2 444 888) კონსულტაცია გაუწიოს მომხმარებელს ამ შეთანხმების 2.3 პუნქტით გათვალისწინებული განცხადების შევსების წესის შესახებ.

2.10 იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი არასწორად შეავსებს ამ შეთანხმების 2.3 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას, მოვაჭრე იღებს ვალდებულებას, რომ ამის შესახებ აცნობებს განმცხადებელს, რის შემდეგაც მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება, ხელახლა სრულყოფილად შეავსოს განცხადება.

3. საკომისიოს დარიცხვა

წინამდებარე შეთანხმების 1.4 პუნქტით გათვალისწინებულ მომხმარებლებს არ დაეკისრებათ ხელშეკრულების (იხ: https://camex.ge/files/camex_agreement_ge.pdf (ხელშეკრულების ბმული)) 2.4 და 3.13. პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

გიგა სეთურიძე

ირაკლი ლექვინაძე

4. შეთანხმების შესრულების ვადა

4.1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

4.2. შპს „კამექს ინტერნეიშნლი“ ვალდებულია, წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან 3 (სამი) თვის ვადაში განახორციელოს წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება და ამ ვადის გასვლიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების თაობაზე, შესაბამისი მტკიცებულებებით და კონკრეტული მონაცემებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 სააგენტო უფლებამოსილია, მოვაჭრეს მოსთხოვოს მის მიერ აღებული პირობითი ვალდებულებების შესრულების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება გარკვეული პერიოდულობით.
5.2 სააგენტო უფლებამოსილია, განახორციელოს მოვაჭრის მიერ პირობით აღებული ვალდებულების შესრულების მონიტორინგი.
5.3 მოვაჭრე ვალდებულია, სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია პირობით აღებული ვალდებულებების საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე ამ შეთანხმების 4.2. პუნქტში მითითებული ვადის გასვლიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. შეთანხმების შეუსრულებლობის შედეგები

6.1 სააგენტო უფლებამოსილია ხელახლა დაიწყოს საქმის შესწავლა თუ:
ა) მოვაჭრე ამ შეთანხმებით ნაკისრ პირობით ვალდებულებებს ამავე შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს;
ბ)პირობითი ვალდებულებები მოვაჭრის მიერ მიწოდებულ მცდარ, არაზუსტ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას ეფუძნება.
6.2. ხელახლა დაიწყებული საქმის შესწავლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.

გიგა სეთურიძე

ირაკლი ლექვინაძე

7. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

7.1 თითოეული მხარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებები) შედეგად.

7.2 შეთანხმების მიზნებისთვის „ფორს მაჟორულ" გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება სააგენტოს ან მოვაჭრის კონტროლის ფარგლებს და შესაბამის მხარეს არ შეეძლო მისი წინასწარ განჭვრეტა ან/და თავიდან აცილება და რომლის დადგომაც გათვალისწინებულ ვალდებულების შესრულებას შეუძლებელს ხდის. შეთანხმების მიზნებისთვის „ფორს მაჟორულ" გარემოება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით გაფიცვებით, საბოტაჟით, წარმოების სხვა სახის შეფერხებით,

7.3. მხარე, რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებას ფორს მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ხსენებული გარემოების ან მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 10 დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან.

7.4. შეთანხმებიდან გამომდინარე დავა მხარეებს შორის წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. სხვა პირობები

წინამდებარე შეთანხმება დადებულია მხარეთა შეთანხმებით და ნებაყოფლობით. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მოვაჭრეს, ხოლო მეორე - სააგენტოს.

გიგა სეთურიძე

ირაკლი ლექვინაძე

9. მხარეთა ხელმოწერები

მოვაჭრე:	საქართველოს კონკურენციის ეროვნული
შპს „კამექს ინტერნეიშნლი“	(ს/ნ: 205310938)
(ს/ნ: 405064013)	
მინდობილი პირი გიგა სეთურიძე	თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძე
(პ/ნ: 01005025064)	
---	---

გიგა სეთურიძე	ირაკლი ლექვინაძე
_____	_____